ქალაქ თბილისის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ჰ 12/133583-16 20 02 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ჩაჩავას ქ. №2-4-6-8-10-12-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასწყობე შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №635888 01.05.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ჩაჩავას ქ. №2-4-6-8-10-12-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადი „E-A“: „E-D“ მონაკვეთში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი, შეცვლილია მისი გაბარიტი და ნახატი. „E-C“ მონაკვეთში შეცვლილია ბაქნის ფორმა და გაზრდილია გაბარიტი. აგრეთვე გაზრდილია პანდუსის გაბარიტი. „B-A“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი მოაჯირი, შემცირებულია ბაქნის სისქე და საფეხურების რაოდენობა. კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. +4.00 ნიშნულზე გაუქმებულია მარცხენა ვიტრაჟები, შეცვლილია მარჯვენას ნახატი ხოლო ფანჯრებს მონაცვლებული აქვს ადგილი.

ფასადი „1-8“: „1-2“ მონაკვეთში მარჯვენა ფანჯარას და ფრამუგას მონაცვლებული აქვს ადგილები. შეცვლილია აღნიშნული ფანჯრის გაბარიტი და ნახატი. „7-8“ მონაკვეთში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი, შეცვლილია მისი გაბარიტი და ნახატი. ამავე მონაკვეთში დამატებულია ბაქანი საფეხურებით.

ფასადი „8-1“: „1-1“ ღერძთან დამატებულია საფეხურები.

ორ ფასადზე გაზრდილია ცოკოლის სიმაღლე და შემცირებულია სენდვიჩ პანელების გაბარიტი, ხოლო ორზე შენობის ძირი მოპირკეთებულია. ცოკოლის თავზე მოწყობილია თუნუქის ფურცელი. კარებზე, ფანჯრებზე, ფრამუგაზე და შენობის კუთხეებში მოწყობილია ლითონის ჩარჩოები. გადახურვაზე არ არის მოწყობილი ზენიტური სინათლის წყაროები. ნაწილობრივ შეცვლილია გრუნტის ნიშნულები.

შენობის შიდა სივრცეში შემცირებულია იატაკის ნიშნული. „E-D“ მონაკვეთში დამატებულია პანდუსი. „B-A“ მონაკვეთში გაუქმებულია ორმარშიანი შიდა კიბე ბაქნით, ხოლო „D-C“ მონაკვეთში მოწყობილია ერთმარშიანი ლითონის კიბის კარკასი. „D-D“ და „2-2“ ღერძების კვეთაზე დამატებულია ლითონის საყრდენი. „D-A“ მონაკვეთში +3.00 ნიშნულზე საოფისე ფართობის ნაცვლად მოწყობილია ანტრესოლის ლითონის ნაწილობრივ შეფიცრული კარკასი მოაჯირით და გაზრდილია გაბარიტი. „1-1“ და „8-8“ ღერძებზე შეცვლილია გადახურვის საყრდენი ფერმის კვეთის სისქე და ნახატი. ნაწილობრივ შეცვლილია სენდვიჩ პანელების საყრდენი ლითონის კარკასის ნახატი.

635888
01.13.02.004.12
01.05.2013

ბაქანი და ლობე ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 103^{1}-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „სიდი"-ს, დავით თაბაგარს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ჩაჩავას ქ. №2-4-6-8-10-12-ში, მდებარე შენობა-ნაგებობის (სასწყობე შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/133583-16 24.12.2013წ. განცხადება.
წ-№12/133583-16 21.01.2014წ. ბრძანება.

უფროსის მოადგილე ვ. შუკრიშვილი

განცხადება

მე არქიტექტორი ირაკლი ფირანაშვილი (დაბ. 03.08.1986წ. ქ.რუსთავში, პირადი №31001017224) თანახმა ვარ შ.პ.ს. „სიდო“-მ (ს/კ 211404531) და მისმა არქიტექტორმა მოახდინოს კორექტირება ჩემს მიერ დაპროექტებულ 2013 წლის 1 მაისს №635888 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტში. პროექტის სახელწოდება: სასაწყობე ფართი ქ.ბილისში, ქუჩა ჩაჩავა, №2-4-6-8-10 (ნაკ. 4/18) 01.13.02.004.112 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

განმცხადებელი:

ირაკლი ფირანაშვილი

14.08.2014წ.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140854461
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.08.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ქეთევან გრიგოლია**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**593 127322**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	27225018566114

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას თოთხმეტი წლის თოთხმეტ აგვისტოს მე, ქეთევან გრიგოლიას ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45 მე-3 სართულზე მომმართა მოქ. **ირაკლი ფირანაშვილმა**, რომელმაც წარმომიდგინა განცხადება და სურდა განცხადებაზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. **მე მას განვუმარტე, რომ არ ვამოწმებ მის უფლებამოსილებას, განცხადების შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ქეთევან გრიგოლია არ ვიღებ პასუხისმგებლობას, მხოლოდ ვამოწმებ განცხადებაზე ხელმოწერას.**

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მომმართა **ირაკლი ფირანაშვილმა** (დაბ. 03.08.1986წ. დაბადების ადგილი: რუსთავი, პირადობის მოწმობა №d1071567, პირადი №31001017224, გაც. 12.06.2007 წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანის სამსახურის მიერ, მცხ. თბილისი, ზაჰესი, მშვიდობის №14, ბინა 207).

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ირაკლი ფირანაშვილმა წაიკითხა და განაცხადა, რომ განცხადება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე განცხადებაზე.

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 31.3, 39.1 მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად – სამი ეზემპლიარი, სამი ხელმოწერა, ექვსი ლარი + დღგ ერთი ლარი და რვა თეთრი + სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური ორი ლარი [illegible] და რვა თეთრი.

ნოტარიუსი _____ ქეთევან გრიგოლია